დევიდ ლინჩის ფონდს საქართველოში რეჟისორი გიგა აგლაძე უხელმძღვანელებს

რეჟისორი გიგა აგლაძე დევიდ ლინჩის ფონდის საქართველოს და აზერბაიჯანის წარმომადგენლობის პრეზიდენტად დაინიშნა. ინფორმაციას სააგენტო ipn (http://www.interpressnews.ge/ge/) ავრცელებს.

გიგა აგლაძის განცხადებით, დევიდ ლინჩის ფონდი კავკასიაში იქნება კინემატოგრაფიის პლატფორმა, რომლის მსგავსიც ჯერ არ შექმნილა. მისივე თქმით, სამომავლოდ იგეგმება უნივერსიტეტის შექმნაც, სადაც დაინტერესებულ პირებს საკუთარ სფეროში წარმატებულ ადამიანებთან შეხვედრის საშუალება ექნებათ.

"ვისაც კინემატოგრაფიასთან რაიმე ტიპის შეხება აქვს, მან კარგად იცის თუ ვინ არის დევიდ ლინჩი. პირველად მოხდა ის, რომ გაიხსნა ასეთი ფონდი, რომელსაც მხოლოდ ფონდის სტატუსი არ ექნება და იმუშავებს რამდენიმე მიმართულებით - გენდერული თანასწორობის საკითხზე, ბავშვთა დახმარების და ვეტერანების რეაბილიტაციაზე. გარდა ამისა, გაიხსნება ძალიან მალე უნივერსიტეტი, სადაც კინოს მწარმოებლებს საშუალება ექნებათ შეხვდნენ დიდ ვარსკვლავებს, რომლებიც ჩვენთან ჩამოვლენ. ასევე დაიგეგმება ამერიკაში ვიზიტები და ადგილზე შესწავლა ყველაფრის. პროექტში ჩართულია აზერბაიჯანი და საქართველო და იმედი გვაქვს, რომ სომხეთიც მალე შემოგვიერთდება. ეს არის ფონდი, რომელიც ინსტიტუტში მიიღებს ბავშვებს და მსურველებს აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და საქართველოდან. ამ მასშტაბის რამ პირველად ხდება," - განაცხადა გიგა აგლაძემ.

THE FILM DIRECTOR GIGA AGLADZE WILL MANAGE THE DAVID LYNCH FOUNDATION IN GEORGIA

The film director Giga Agladze was appointed as a president of David Lynch Foundation Georgia and Azerbaijan Representative offices. The information is being shared by the agency ipn (http://www.interpress-news.ge/ge/).

As the president of the foundation Giga Agladze announced, David Lynch Foundation Caucasus will be a film platform, which does not have any analogy yet. According to him establishment of the university is also included in the future plans where the interested persons will be able to meet successful people from their sphere.

“Anyone who is somehow related to the cinema, knows who is David Lynch. This is the first time that such Foundation has been established, which will not have only a status of a foundation and will be working in several directions – gender equality issues, children’s and veterans’ rehabilitation programs. Besides a university will be opened very soon where the film producers will have opportunity to meet big stars who will be visiting our country. As well as travel to USA will be planned in order to proceed learning on the place.

Azerbaijan and Georgia are included in this project and we hope that Armenia will join us soon. This is a foundation which will accept students and applicants in the institute from Azerbaijan, Armenia and Georgia. This is the first time that such a big scale project is being fulfilled.” – announced Giga Agladze.